ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 39
(12 007)

26 – 29 მაისი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

ვულოცავ!

დიდი ხანია ტანვარჯიშულ სახეობებში საქართველოს სპორტსმენებს მაღალი რანგის ასპარეზობებში თვალსაჩინო წარმატებებისთვის არ მოუწევიათ. ამ ფონზე უდიდესი სიხარული ჯერ შარშან მოვეტანა თბილისელმა ბატუტზე მხტომელმა ლუბა გოლოვინამ, როცა მსოფლიო პირველობა მოიგო თანატოლთა შორის, ახლა კი ევროპის რბილულ მეტოქეებთან პაექრობაში, ჩვენს კონტინენტზე უძლიერესის სახელი დაიხაკუთრა.

ლ. გოლოვინას ახალმა წარმატებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ საქმიანობის ორგანიზაციულად სწორად წარმართვისა და ხელშეწყობის პირობებში, ჩვენს ხიჭივან სპორტსმენებს ძალუძთ დაიპყრონ მაღალი სპორტული მწვერვალები.

სულითად და გულით ვულოცავთ ლუბას, მის მწვრთნელებს და ტანვარჯიშის ხახუროსა სპორტულ ცენტრს, სადაც ის ოსტატობას ამ მართლაც ბრწყინვალე გამარჯვებას.

მზად ვართ ჯერიონად დავხვდეთ და ღირსეული პატივი მივაგოთ ჩემპიონს.

ბიორბი უდესიანი,
თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი.

ლუბა გოლოვინა ევროპის ჩემპიონია

ერგო ხანია ეს სპორტსმენი არა მხოლოდ ჩვენი, მთელი სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრშია. ბატუტზე მხტომელ ლუბა გოლოვინას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და ისიც წინმსწრები წარმატებებით ამართლებს სპეციალისტთა და გულშემტკიცართა იმედებს.

ბატუტზე ხტომაში ნებისმიერი ასპარეზობა დაძაბულად მიმდინარეობს მაღალ კლასის ოსტატთა მონაწილეობით. ცხადია, არც პარიზში გამართული ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი ყოფილა გამონაკლისი. ჩემპიონატში ჩინეთიდან ისპარიზა თანატოლთა შორის მსოფლიოს ვარსკვლავის შორის მსოფლიოს სპორტის სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრის (დირექტორი **როზა ბერიკაშვილი**) ალსაზრდელნი. 16 წლის ლუბა გოლოვინამ (მწვრთნელი მამა — **ვლადიმერ გოლოვინი**, უფროსი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი**) ალსანწმაგია, რომ ჩვენმა სპორტმა გუნდურ პირველობაში III სპარიზო ადგილი დაიკავა, რაც ასევე დიდი წარმატებაა.

„ლელო“ – „ბუმაგი“.

ბაღდინგონს ახალი პრეზიდენტი ჰყავს – ბესო ჯუღელი!

პარლამენტარ **ბესო ჯუღელის** სპორტისადმი სიყვარული ცნობილია. მას კარგად ესმის სპორტის, ნებისმიერი პოლიტიკური, ეროვნული სოციალური მნიშვნელობა. ამიტომაცაა, რომ საკანონმდებლო ორგანოში ის ყველაზე იმ დეპუტატთა შორის მოიხსენება, რომელთა მხარდაჭერის იმედი ქართული სპორტის მესვეურებს თუნდა ათჯერ.

შემთხვევით არაფერი ხდება. ცხრელობიდან ბესო ჯუღელი გატაცებული იყო ჭიდაობით და წარმატებითაც. სპორტის სხვა სათამაშო სახეობებისგანაც არ იყო მწყრალად. მათ შორის ისეთ „მსუბუქ“ და „მკერავ“ სპორტს. სახელმასთან, როგორიცაა ბადმინტონი. ბესო ჯუღელი, აღსანიშნავია ის, რომ როდესაც სპორტის ამ სახეობას ჩაუდგებოდა სათავეში, გახდებოდა ქვეყნის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. დრომ მოიტანა და გახდა. ძალიანაც კარგი ეს არც პირველი შემთხვევაა და აღმაო, არც ბოლო იქნება, როცა პარლამენტარები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მოდან სპორტის ცალკეულ სახეობები ეროვნული ფედერაციების თავკაცად ექნი, აღმაო, არავის ეკარება იმაში, რომ ეს მხალოდ საქმე წაადება. თქვენ წარმომიდგინეთ, ზოგიერთი ფედერაციის პრეზიდენტი ნებით მიღის დაკავებული თანამდებობიდან და ცრუდედ ასეთი პატიოსნული მოსაზრებით უთმობენ ბუზას მათ, ვინც უფრო მეტ სიცოცხლე მოიტანს.

ბესო ჯუღელი, მაგრამ ეროვნის ფედერაციის ფრილობაზე, გაიმართა, ეკლტერნატიური კანდიდატური იყო ამ სახეობაში პრეზიდენტის პოსტზე და ფედერაციაშიც იგი ერთხმად და ერთსულოვნად აირჩიეს ამ თანამდებობაზე. სამაგიეროდ, ერთსულოვნება არ ყოფილა გამეორის შემდგენლობის არჩევისას. ხმაური გამოწვია იმან, რომ გამგეობის გარეთ ზოგიერთი ლეგიონისული სპეციალისტი აღმოჩნდა. ბოლოს გამოსავალი გამონახა — მმართველი ორგანოს შემადგენლობა 3 წევრით გაიზარდა და გამგეობაში ის ადამიანებიც შეიყვანეს, ვინც დელეგატებმა დაასახელეს, ყოველგან კი მხარი დაუჭირა.

„ბედნიერი ვარ, რომ სპორტით, უფრო სწორად, ჭიდაობის სადარეც და სპორტის ერთ-ერთი პოპულარულ სახეობასთან ამიერიდან უფრო ახლოს ვიქნები. ფედერაციის გავაკეთებ ფედერაციისთან ერთად, რომ ბადმინტონი საქართველოში უფრო მასობრივი გახდეს, ამაღლდეს. მომეცადინეთ ოსტატობა და ახალი თვალსაწიერი წარმატებები მოვიპოვოთ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში“ — თქვა ბ. ჯუღელმა.

ბიორბი დარსაველიძე,
სპორტის აკადემიის სტუდენტი, სპორტულ ჟურნალისტიკაში „ლელოს“ მასტერ კლასის სტაჟიორი.

ევროპული სამზადისი

ფეხბურთის ჭიმპიონს ჯერადებება მომავალ კვირაში გერმანია — ევსტრიისკენ ფრენა მიაჯარიბილი, რადგან საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს. **კლაუს ტოპმოელერის** შეგირდები შეიკრიბნენ ევროპაში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ჩვენებურთა პირველი მეტოქე გერმანელი ჭაბუკ ალტენკირხენში ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი იქნება. მატჩი 27 მაისს, თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. მეორე მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე პარაგვის ეროვნული ნაკრებია. მატჩი სახზოვიმპრაცლებთან 31 მაისს ავსტრიის ქალაქ დორნბირნში გაიმართება და ჩვენი დროით 20:30 საათზე დაიწყება. ტოპმოელერის ნაკრები აღნიშნულ მატჩებს გარკვეული პრობლემებით შეხვდება. ტრავმების გამო ეროვნულ საწვრთნელ შეკრებას გამოაკლდნენ: **ზაალ ელიავა** და **ლაშა ჯაკობაია**. ასევე ტრავმების გამო, სათუოა **ლაშა სალუქვაძის, ლევან ცქიტიშვილის** და **გოგა გახოკიძის** მონაწილეობაც. თუმცა, ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა მესაქმე შეკრებაზე ტრავმირებულებსაც და ჯანმრთელებსაც მოუხმო. ტოპმოილერის განმარტებით, ამ ეროვნი რიან შეკრებას და წვრთნებს, ოფიციალურ მატჩებამდე, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. ფეხბურთელთა ერთად ყოფნა ნაკრების კონსოლიდაციას, შეთამაშებას შეუწყობს ხელს. ვარაუდებისას კი გუნდის სატრენირო — სათამაშო ტაქტიკა — სტრატეგია დაიხვეწება. — განაცხადა მწვრთნელმა. ზელანდია — პარაგვაისთან სავაჭრო გამზადებულ ნაკრებში, ბოლო წამს, მეცენ **მათე ფენიანიძეს** და თავდამსხმელ **ზურაბ ონანიძეს** გამოუძახეს. ჩვენი ეროვნული გუნდის სრული შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლომაია (ლეჩ-უნერგია, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი).

მცველები: კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ლუგერინი, ინგლისი), ოთარ ხიზანიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), კახა მგალობლიშვილი (ორიენ — ჩერნომორეცი, უკრაინა), ლევან მაღრაძე (წმანტი, სპეროძვეთი), მათე ფენიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი).

ნახევარმცველები: ლევან ცობილაური (მალეც, გერმანია), მატარა სპასოკინი (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით მიქაური (კრილია, რუსეთი), დავით კვირკველია (მეტალურგი ზ. უკრაინა), გოგიტა გოგუა (სპარტაკი ე. რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), კახა ალადაშვილი (დინამო კ. უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონო, ლატვია), გიორგი გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), ლევან ცქიტიშვილი (ვოლგაბურგი, გერმანია).

თავდამსხმელები: ზოთა არველაძე (ალემარი, ჰოლანდია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ვასილ გიგიაძე (კრეგბასი, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (დინამო კ. უკრაინა), გიორგი დემენტრაძე (მაკაბი თ. ისრაელი), ზურაბ იონანიძე (ზენტოფონი).

შიშას სკვინარზე

დღეს, 26 მაისს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ფიფას ორდღიანი სემინარი შეუდგება მუშაობას, რომელშიც მსოფლიოს ფეხბურთის სახაო ორგანიზაციის ყველა წევრი ასოციაციის ხელმძღვანელები მონაწილეობენ. მათ შორისაა, სფფ-ს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.

სემინარი საუბარშეორთო ასოციაციის და ტელევიზიების ურთიერთობებს ეძღვნება, რომლის ჩარჩოში განიხილებას სატელევიზიო უფლებების საკითხები.

სემინარი ხვალ დასრულდება. სფფ-ს თავკაცი ეკ ავსტრიიდან გადაიხანცელება გერმანიაში და ჩვენი ეროვნული ნაკრების ზელანდიელებთან პაექრობას მიადევნებს თვალს.

ჩოგბურთი

«ავსტრიის ავიახაზები» მოწოდების სიმაღლეზეა

ლელოს მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დაიწყო საერთაშორისო ტურნირი 14-16 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის „ავსტრიის ავიახაზების“ თასზე. ეკრიანის ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით. ტურნირი მეოქე იმართება. ამჟამად მასში 110 სპორტსმენი (55 გოგონა და 55 ჭაბუკი) მონაწილეობს, ისრაელიდან, ცისტნეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, სასომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და, რაღა თქმა უნდა, საქართველოდან.

ტურნირის მთავარი სპონსორია „ავსტრიის ავიახაზები“; სპონსორები: „კოდაკი“, „დონატტოპი“, მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, „კოკა-კოლა“ — საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მთავარი სპონსორი.

წინასატურნირო პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეონა მესხი**, „ავსტრიის ავიახაზების“ გენერალური მენეჯერი საქართველოში **ეკა ბერკეთი**, დიდმა ხანი ხახის დირექტორი **იზლა ანთაძე**.

— „მთავარი ვარ, რომ ამ ტურნირს ვუწევი სპონსორობას, ჩვენ ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მახარებს ისიც, რომ შვეიცარია წვაახალისო ახალგაზრდები“ — თქვა ეკა ბერკეთმა.

ლეონა მესხი: „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისთვის და მთლიანად ქართული ჩოგბურთისთვის ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც იმით, რომ ერთი თამაშის მოგების შემთხვევაში სპორტსმენს უკვე აქვს საშუალება რეიტინგში მოიგოს. ტურნირი ტრადიციული, შედეგები შთამბეჭდავი, გვყავს გამოჩენილი სპორტსმენები, მაგალითად, **ლაგო ხიხლაძე, ირაკლი ლაბაძე, მაკა ხახნაშვილი** და ა.შ. მათ გაბეულს ყველა ეს ტალები და ამ ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა ჩვენს სპონსორს დიდ მადლობას ვუხდი. ეს მათი დამსახურებაა, რომ ტურნირი ტრადიციული და ავტორიტეტული გახდა.

ელენე ქეჩხოშვილი.

ჩანჩქერიდან ვარდნილი ვერცხლისწყლის დიაგნოზი დაზუსტდა

წელეულს, „ლელოს“ 26-ე ნომერში ჩვენ ვთქვით, „ქიქა ჩვენ ვართ.“ გამოვაქვეყნეთ წერილი **„მოეუსმინთ მასლაათს, ვთქვა, ვინ არის ანგრი ჩერნიშოვი?“** მას შემდეგ რაც რუსეთის ახალგაზრდების ნაკრების ჩერნიშოვს ხელმძღვანელობით დინოელობამ სამარცხვინო ითამაშა, ხელი ფეხბურთელი კი მოეხდინა, ბევრი ცნობილმა ტელეკომენტატორმა გამოუქვეყნა „ფეისბუქში“ დაწერა: „მე მაშინ მოვიხსენე არა მარტო ჩვენი ფეხბურთელების გამარჯობა უმცირო საკუთარსაც, არამედ შვეიცარი ჩერნიშოვის საქმის გარჩევაც. დასაწყისისთვის უნდა გარკვეულიყო, რას წარმოადგენდა, რა კაცი იყო იგი. დაეუშვით, კარი ახალგაზრდაც. მაგრამ წარმოდგენილი ამბიციის მქონე. მას რომ ჰკითხოთ, შეიძლება მოსკოვის „სპარტაკის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „მილანის“ მწვრთნელობაც კი ხელ რომ რომელიმე დიდ კლუბში მოწვეთ, მაშინაც წყვა თავისუკი არ ვიქნებოდა, ასეთი პირფერული.

მოიწვეს თბილისის „დინამოში“ და ისიც. მართალია თვალს დაუხამხამებდნენ ხელფასი, რაც გააკეთა და როგორ დაიცვა ფეხბურთელი ამბიციები, ყველამ კარგად ვიცით.

და აი, ჩერნიშოვი უკვე აღარ არის თბილისის „დინამოს“ თავკაცი. როგორც ცნობილია, კლუბის ხელმძღვანელობა და მწვრთნელი შეიდნობილად დაშორდნენ ერთმანეთს. „დინამოში“ მთავარი მწვრთნელის, ფეხბურთის ლეგენდა ჩერნიშოვის ასისტენტი კახა კაჭარავა შეუპირველ.

ახალგაზრდები მოდიან...



როგორც ეიწყვებოდით, ამას წინათ, ანტალიაში დიდ საერთაშორისო ტურნირში პარუზა საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტში გაიმართა პრესკონფერენცია. ეურნალისტების წინაშე წარსდგნენ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **გია გეწაძე** და „თავისუფალთა“ მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ ხხიერიანი**. მათ ილაპარაკეს ტურნირის ავკარგზე და მაღლაც გადაუხდეს ყველას, ვინც დახმარების ხელი უწვდის ჩვენს ნაკრებ გუნდებს. გამოითქვა ღრმა რწმენა, რომ ახალგაზრდ ქართველი ფალავანთა უფროს თაობას ღირსეული ცვლა ეზრდება.

ოთარ ლოგუაძიძე.

საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ტურინში გრძელდება საჭადრაკო ოლიმპიადა, მე-3 ტურში, რომელიც სამშაბათს გაიმართა, საქართველოს ქალთა ნაკრებმა ფრედ — 1,5:1,5 ითამაშა სლოვენიის გუნდთან, ასეთივე შედეგით დაასრულეს შეხვედრა მე-4 ტურშიც ინდოეთის ნაკრებთან. ვაჟებმა აღნიშნულ ტურებში წარმატებით ითამაშეს. მათ ერთნაირი ანგარიშით 2,5:1,5 სძლიეს ყოლუმბიასა და გერმანიის ნაკრებებს.

გუშინ მე-5 ტური ჩატარდა. წარმატებით ითამაშეს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა, რომლებმაც 2:1 სძლიეს თურქმენეთის გუნდს. ვაჟებმა კი მარცხი იწვნიეს აზერბაიჯანთან.



28 მაისიდან, ყოველ კვირა დღეს 19 საათიდან ვერის ბაღში მ. კეკელიძის სახ. კალათბურთის სასახლეში გაიმართება პროფესიონალ მოკრივეთა ევროპისა და მსოფლიო კლასიფიკაციის სარეიტინგო ორთაბრძოლები.

რაგბი საქართველოს თასზე

გაიმართა რაგბში საქართველოს თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩები. **A** ჯგუფში „უნივერსიტეტმა“ წააგო „ხარებთან“ – 13:24, „ლოკომოტივმა“ ასტრონომიული ანგარიშით მოუგო „აკადემიას“ – 76:0; **B** ჯგუფში „ყორნებმა“ სძლიეს „ხეფლიანას“ – 17:12; „ლელომ“ მორიგ გამარჯვებას მიადწია ქუთაისს „აიახთან“ შეხვედრაში – 33:17.

მ ე მ ა კ ვ ი დ რ ე ო ბ ა

„დინამოს“ და დინამოელთა ღვაწლი

მოქცევა სულთმტერ. ფალავანდიშვილი 300 წ.-ზე ნ.

ადრე აღვნიშნეთ და ახლაც დიდი სიამოვნებით მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას სპორტსზოგადოება „დინამოს“ ღვაწლსა და დამსახურებაზე, როგორც, საერთოდ, ქართულ სპორტში, ისე, ცრცრში, ჭიდაობაში. ამ სპორტული საზოგადოების ფალავნებმა არა მხოლოდ მაღალი სპორტული მიღწევებით, არამედ ჭიდაობის იღეთების დახვეწასა და ახალი ფანტების მის გამდიდრებაზე შეიტანეს ღირსეული წვლილი. ამ საქმეში კი, ცხადია, უნდა ითქვას, უდავოდ თვალსაჩინოა ჩვენი ეროვნული სავაჭრების — ქართული ჭიდაობის დამსახურება.

ზემოთქმულის აზრი უფრო ცხადი რომ გახდეს, მოვიტანოთ ამონაწერს „თავისუფალი ჭიდაობის“ სახელმძღვანელოდან: „სპორტული ჭიდაობა საკმაოდ რთულ ტექნიკას მოიცავს. ამ ტექნიკის ასათვისებლად მოჭიდავემ უნდა გამოიმუშაოს მისთვის ახალი, მამოძრავებელი ჩვევები. სპორტული ჭიდაობის ტექნიკა წარმოადგენს ილეთების, თაქდაცვისა და კონტრილეთების ერთობლიობას. თითოეულ ილეთს ან კონტრილეთს თავისი რაციონალური სტრუქტურული ფორმა აქვს, რომელიც შესწავლისთვის საჭიროა მათი ღრმა ანალიზი“ (წიგნის ავტორები არიან **შ. ფიროსმანაშვილი, მიხეილ თოკანაძე, ვახტანგ ბალავაძე და ივანე ალიხანოვი**).

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს დინამოელ მოჭიდავეთა საერთაშორისო აღიარებაში ამ სპორტსზოგადოების წვლილი. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო 1930-იანი წლების ათწლეული, როდესაც ამ სპორტსზოგადოების მქნელი ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ცენტრად იქცა „დინამო“ გენერალიტეტების და დიდი ქალაქების მოსახლეობის ფართო ფენების საამაყო ტრადიციებს.

მამაჩემი **რევაზ სალარაძე** მოჭიდავე იყო, დინამოელი. თუ რატომ ვიხსენებ მას, ახლავე მოგახსენებთ: ერთიმეორე **გივი კარტოზიას** ვკითხე, თუ როგორი მოჭიდავე იყო მამაჩემი. მიპასუხა: „გამოცდილი ვიცი, შენზე ფიზიკურად ძლიერი, მასთან ჭიდაობას თორმეტ წუთზე ვერიდებოდა. ჩოჩქვნში „ასპინძის“ შეუდარებელი ოსტატი ყოფილა და რამდენიმე მეტოქე ჰყავს ჩაძინებული“.

1971 წ. **მოსკოვი** — გივი ყარალაშვილი, ლეკვ თედოშვილი;
1972 წ. **მინსკი** — ტარიელ ალიბეგაშვილი, ლეკვ მარშანია;
1973 წ. **კრასნოიარსკი** — ლეკვ თედოშვილი;
1974 წ. **უფა** — ლეკვ თედოშვილი;
1975 წ. **კიევი**. ჩემპიონი არ გვყოლია;
1976 წ. **ოდესა**. ჩემპიონი არ გვყოლია;
1977 წ. **კრასნოიარსკი**. ჩემპიონი არ გვყოლია;
1978 წ. **მინსკი**. ჩემპიონი არ გვყოლია;
1979 წ. **მოსკოვი**. ჩემპიონი არ გვყოლია;
1980 წ. **მოსკოვი**. ჩემპიონი არ გვყოლია;
1981 წ. **ულან-უდე**. რაზ ხუტბა;
1982 წ. **ორჯონიკიძე** — დავით გოგური;
1983 წ. ჩემპიონი არ გვყოლია.

გაგრძელება იქნება

წინა პუბლიკაციაში უნდა იყოთბოდეს: 1934-1935 წლები — ლენინდ ძყოსტა.



საქიდაო ხალიჩაზე“. „ასპინძელი“ მოქიდავეების ენაზე რომ ვთქვა, საქიდაო იღეთი იყო ერთგვარი, რომლის შესრულებისას მეტოქის კისერზე და სამიღე არტერიაზე ხდებოდა ზეწოლა. შემდეგ ეს ილეთი აიკრძალა.

სურაბაზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, თითო დინამოელია აღებული (მარცხნიდან) — **ვალერიან მაჩავარიანი, შალვა ჩიხლაძე, ანდრო ნავაზარეული** და **რევაზ სალარაძე**. სურათი გადაღებულია 1942 წელს.

გაგრძელებთ ქრონოლოგიურად თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ჩემპიონთა ვინაობის გაცნობას:

ᲐᲜᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ხელოვნების კონკურსები

1936 წლის ოლიმპიური თამაშები არქიტექტურა. ა. ქალაქმშენებლობა: 1. ვერნერ მარში — გერმანია, „იმპერიის სპორტული სტადიონი“, 2. ჩარლზ დოუნინგ-ლეი — აშშ, „ფლოტის პარკი ბრაჯლინში“, 3. თეო ნუსბაუმი — გერმანია, „სპორტული მოედანი კიოლნში“, **ბ. არქიტექტურული პროექტები:** 1. გერჰან კუტშერა — ავსტრია, „სათხილამურო სტადიონი“, 2. ვერნერ მარში — გერმანია, „იმპერიის სპორტული სტადიონი“, 3. 3. შტიგლიც — ოლეარი და ჰერბერტ კასტნერი — ავსტრია, „ადგილი საატრაქციონი, საველოსიპედო და საცხენოსნო სპორტში შეცდენილებისათვის. ვენა.“

ლიტერატურა. ა. ლირიკა: 1. ფელიქს დიენენი — გერმანია, „მორბენალი“, 2. ბრუნო ფატორი — იტალია, „ლაქვარდოვანი სხეები“, 3. 3 ანს შტოიბერი — ავსტრია. „ბაღრო“; **ბ. დრამატურგია:** არც ერთი პრიზი არ მიენიჭებიათ. **გ. ეპოსი:** — 1. ურნო კრეტმაიერი — ფინეთი, „წლის ტალღებზე“, 2. ვილჰემ ემფრი — გერმანია, „მსოფლიოს მწვრაელზე“, 3. იან პარანდოვსკი — პოლონეთი, „ოლიმპიური ბაღრო“; **დ. სიმღერა:** 1. პაულ პიოფერ — გერმანია, „ოლიმპიური ფიცი“, 2. კურტ თომასი — გერმანია, „1936 წლის ოლიმპიადის ჯანტანტა“, 3. ჰარალდ გენცმერი — გერმანია, „მორბენალი“. **ე. საინსტრუმენტალო ნაწარმოები:** არც ერთი პრიზი არ მიენიჭებიათ; **ვ. საორკესტრო ნაწარმოები:** 1. ვერნერ ეისი — გერმანია, „ოლიმპიური საზეიმო მუსიკა“, 2. ლინო ლიციბეზი — იტალია, „გამარჯვებული“, 3. იაროსლავ კრიჭკა — ჩეხოსლოვაკია, „სამოო სიტუა“.

მხატვრობა. ა. ზეთი: 1. არ მიენიჭებიათ, 2. რუდოლფ ეიზენმენგერი — ავსტრია, „მორბენალთა ფინიშის წინ“, 3. ტაკახარუ უეჯიტა — იაპონია, „ხოკეი ყინულზე“, **ბ. ნახატები და აკვარელი:** 1. არ მიენიჭებიათ, 2. რომანო დაცი — იტალია, „ოთხი მეფაო ფრესკებით“, 3. სუიაკე სუზუკი — იაპონია, „იაპონური ესასოკეური რბოლები ცხენებით“; **გ. გრაფიკა:** არც ერთი პრიზი არ მიენიჭებიათ; **დ. გამოყენებითი გრაფიკა:** 1. ალეჭ-ვალტერ დიგელმანი — შვეიცარია, „არიზას პლაკატი“, 2. ადოლფ პირკი — გერმანია, „საერთაშორისო ავტორბოლა“, 3. სტანისლავ ბრუსტოვსკი — პოლონეთი, „იახტკლუბის დიპლომი“;

სკულპტურა. ა. ქანდაკება: 1. ფარაბი ვინოლი — იტალია, „სიარული სარწევეელათი“ (ჩორთით დოღი), 2. არნო ბერეკერი — გერმანია, „ათეიდელი“, 3. სტივ ბლუმბერგი — შვედეთი, „მებრძოლი ბავშვები“; **ბ. ბარელიეფი:** 1. ემილ სტორი — გერმანია, „მებრძოლები“, 2. იუზეფ კლიუკოვსკი — პოლონეთი, „ბერთან“, 3. არ მიენიჭებიათ; **გ. პლაკატი:** 1. არ მიენიჭებიათ, 2. ლუჩიანო მერკანტე — იტალია, „ბედლები“, 3. ფოზ დიეპანი — ბელგია „პლაკატ — ცხენოსნები“;

1948 წლის ოლიმპიური თამაშები. არქიტექტურა: ა. ქალაქმშენებლობა: 1. იური ლინდეგრენი — ფინეთი, „მძლეოსნობის ცენტრი ვარკაუში, ფინეთი“, 2. ვერნერ შინდლერი, დ-რი ედილჰუსფერი — შვეიცარია, „შვეიცარიის სპორთ სახელმწიფო სპორტული და სატანვარჯიშო ცენტრი“, 3. ილმარი ნიემელაინენ — ფინეთი, „მძლეოსნური ცენტრი კემში“; **ბ. არქიტექტურული პროექტები:** 1. ადოლფ ხოხი — ავსტრია „საოხილამური ტრამპლინი კოპელენში“, 2. ალფერედ რინგში — ავსტრია, „საწყლოსნო სპორტის ცენტრი კარინტიაში“, 3. ნილს ოლესენ — შვედეთი, „დახურული ნაგებობა გეტენბორგში ბანაობისა და სპორტისათვის“;

ლიტერატურა. ა. ლირიკა: 1. ალე ტოენი — ფინეთი, „დიდება ელადას“, 2. ეგან პერედნი — სან. ავრიკა, „იქნსი ლეჭი“, 3. ჟილბერ პრუტო — საფრანგეთი, „სტადიონის რიტმი“; **ბ. დრამატურგია:** არც ერთი პრიზი არ მიენიჭებიათ. **გ. ეპოსი:** 1. ჯან სტუპარინი — იტალია, „მღვიმე“, 2. იუსე პეტერსენი — დანია, „ოლიმპიადაში გამარჯვებული“,3. დ-რი ეგა ფელდში — ფინეთი, „ახალგაზრდობის წყარო“;

მუსიკა. ა. სიმღერები: პირველი მეორე ადგილი არ მიუნიჭებიათ, 3. გაბრიელა ბიანკი — იტალია, „ოლიმპიური ჰიმნი“ **ბ. საინსტრუმენტო ნაწარმოებები:** 1. არ მიუნიჭებიათ, 2. ჯონ უეინკეიდი — კანადა, „ტერტომინტრი ფლეიტასათვის სოლო და სიმებიანი ორკესტრისათვის“, 3. სერგო ლეონიდზე — იტალია, „ტოკატა რიალისათვის“; **გ. საორკესტრო ნაწარმოებები:** 1. ზბიგნევ ტურსკი — პოლონეთი, „ოლიმპიური სიმფონია“, 2. კალერეო ტუუკანენი — ფინეთი, „ნადირობა დათვებზე“, 3. ერიკ ბრონე — დანია, „ჰოლიათი“;

მხატვრობა. ა. ზეთი და აკვარელი, 1. ა. ტომპონნი — დიდი ბრიტანეთი, „მოყარულთა ლონდონის პიკადილლის“, 2. ჯოანა სტრადნე — იტალია, „ლე პისტარელი“, 3. ლუტიცია გამილტონი — ირლანდია, „საცხენოსნო დოღები“; **ბ. გრაფიკა:** 1. ალბერტ დეკარი — საფრანგეთი, „ეიზე ცურვისათვის“, 2. ჯონ კაპლი — დიდი ბრიტანეთი, „თოთბაშები მოედანზე“, 3. უოლტერ ბეტილი — საბ. აფრიკა, „სპორტი ზღვის სანაპიროზე“;

გამოყენებითი გრაფიკა 1. არ მიენიჭებიათ, 2. ალეჭს ვალტერ დიგელმანი — შვეიცარია, „მსოფლიოს პირველობა შაიბაზე პოკეიში“ (პლაკატი).

სკულპტურა. ა. ქანდაკება: 1. გუსტავ ნორდელი — შვედეთი, „თაყვანისცემა ლინგისადმი“, 2. ჟ. კარი — დიდი ბრიტანეთი, „ციგებით მორბენალი გოგონა“, 3. ბოუერ ინსიდე — საფრანგეთი, „მოცურავე გოგონა“; **ბ. ბარელიეფი:** 1. პირველი და მეორე პრემია არ მიუნიჭებიათ, 3. რასმუნდენ ფულტჩერი — დიდი ბრიტანეთი, „სპორტული ბარელიეფი“; **გ. მედლები და პლაკატები:** 1. არ მიენიჭებიათ, 2. ოსკარ ტიდე — ფინეთი, „რეა სპორტული პლაკატი“, 3. ედვინ გრინაუეი — ავსტრია, „პლაკატი ხანიჩოსნო სპორტში“.

ხელოვნების კონკურსების 1912-1948 წლების უნდა გაითამაშებულიყო 183 მედალი (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაოს) გამოუენებიან ერთის მიერ მინიჭებული იქნა მხოლოდ 147 მედალი, მათ შორის ოქროსი — 44, ვერცხლის — 55 და ბრინჯაოს — 48.

კონკურსის პირობების დაუმყარფილებობის გამო არ გაცემულა 36 მედალი, ამედან ოქროსი — 19, ვერცხლის — 8, ბრინჯაოსი — 9.

განაწილებული მედლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (1912-1948 წწ).

ქვეყანა	ო.	ვ	ბ	სულ
1. გერმანია	8	7	9	24
2. იტალია	5	7	2	14
3. საფრანგეთი	4	4	5	13
4. აშშ	4	5	1	10
5. დიდი ბრიტანეთი	3	4	—	7
6. ავსტრია	3	3	3	9
7. პოლონეთი	3	2	3	8
8. შვეიცარია	2	4	1	7
9. ბელგია	2	2	6	10
10. ფინეთი	2	1	-	3
11. ნიდერლანდები	2	1	3	6
12. შვედეთი	2	1	2	4
13. ლუჩემბურგი	2	1	—	3
14. უნგრეთი	1	2	1	4
15. საბერძნეთი	1	-	—	1
16. დანია	—	5	4	9
17. ირლანდია	—	1	3	4
18. იაპონია	—	1	2	3
19. ჩეხოსლოვაკია	—	1	2	3
20. სამხრეთ აფრიკა	—	1	1	2
21. კანადა	—	1	—	1
22. ნორვეგია	—	1	—	1
23. მონაკო	—	—	1	1
სულ	44	55	48	147

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲜᲝᲨᲕᲐᲕᲒᲔᲚᲘ,
გაგრძელება იქნება.
დასაწყ. „ლელო“ №2-დან.

მედიკოსებმა იციან ფეხბურთის ფასი

ინიციატივა ძვირად ფასობს, რა თქმა უნდა. სპორტშიც, სადაც სპორტთან მიმართებაში ადამიანთა ხალისთან და სისხლსავსე ცხოვრებასთან გვაქვს საქმე. ავარ, ამ დღეებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი **გიორგი მენაბდე**) მინიფეხბურთოში სასწავლებლის პირველობა ჩაატარა ფაკულტეტების შორის. ტურნირმა წარმოუდგენლად დიდი ინტერესი გამოიწვია და სიამაც შემატა სტუდენტების თავიანთი წარმომადგენლების შეჯიბრებაში მონაწილეობით. საერთოდ კი, უნივერსიტეტის ნაკრები შესანიშნავი ტრადიციებით იწონებს თავს — ჩემპიონია ამიერკავკასიაში სამედიცინო სასწავლებლებს შორის, მოუგია მრავალი საროსაშორისო ტურნირი, პროფესორ-მასწავლებელთა გუნდს კი არაერთხელ გაუმარჯვებია კოლეგებთან გამართულ შეჯიბრებებში.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა საფეხურზეო წარმატება შესანიშნავი სპეციალისტისა და პიროვნების **გახბენის ბაქანიძის** (30 მაისს 55 წლისა ხდება, ეულოცავთ!) დამსახურებაა. იგი რეაბილიტაციის, სპორტული მედიცინის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელია და ამავე დროს სთაჯმაში უდგას სასწავლებლის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს. ზემოხსენებული შიდა ტურნირიც მისი ორგანიზებულია. ვ. ბაქანიძის აღზრდილები არიან ერთგული ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები **დაჩი ფოფხაძე, კოტე დარსანია, გოჩა წიფლისანი, მიხეილ ოქტიაშვილი, რომან მგალობლიშვილი, სოსო მაჭავარიანი** და **ზაზა ბურჭულაძე.**

დავუბრუნდეთ უნივერსიტეტის ტურნირის ისტორიას. ფინალური მატჩი გაიმართა სამკურნალო ფაკულტეტის I ნაკადისა და II ნაკადის გუნდებს შორის. პირველებმა აქაც იმოქმედეს და მეტოქე თანაკურსელებს მოუგეს 5-3. გარდამავალი თასიც მათ გადაეცათ. მესამე პრიზიორები ფარმაცევტული ფაკულტეტის მერვეკურსელები გახდნენ. საუკეთესო ფეხბურთელები ჩაირიცხნენ საწყვლეულების ნაკრებ გუნდში, რომელიც მედიკოსთა საერთაშორისო პირველობისთვის ემზადება.

ᲒᲝᲩᲜᲔ ᲑᲐᲓᲠᲐᲫᲔ.

X X X

სამედიცინო აკადემიის თაოსნობით, სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის და ეროვნული ფედერაციის „სპორტი — ყველასათვის“ მხარდაჭერით, ივნისში განზრახულია ჩატარდეს საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების ტურნირი მინიფეხბურთში ოლია დათუნაშვილის პრიზზე. განაცხადები თავს იყრის ზემოხსენებულ პროფკავშირებში (ჭავჭავაძის, 49-ა). მთავარი მსაჯია ვახტანგ ბაქანიძე (893 72 71 34).

მიხეილ პირაპეტი

სამოციანი წლებია. ფეხბურთით კაცს ვინ ეშინია. კვლა დიდი ინტერესით უყურებს ტელევიზორით ფეხბურთში მსოფლიო პირველობას. სპორტულ სამყაროში მეც ვიწყებ ერთობულ, სწორედ ამ პერიოდში, ჩემს წინ გაჩენილ მანქანას და გადმოვიდა შავგვრემანი კაცი. თუ პელე არა, მისი ჯიშისა მაინც. მაშინვე შევიცანი სახელგანთქმული მკედრე მიხეილ პირაპეტი. არ ვიცი, პელეს ასოციაციით თუ ჩემი ინტერესით, საოცარად მოშინდა მისი გამოძერწვა. იგი კვლა ჩემს ფაბულას თუ კონცეფციას პასუხობდა — დადებითი პიროვნება, სუპერტურნეულად საინტერესო სახე. ჰა, ბერთი და ჰა, მოედანი! როგორ მოვიქეც? ხომ არ ვცეცდი უცნობს და გავიტაცებ სახელისნობაში?

მიშველა ჩემმა მეგობარმა, ჩემს უბანში — „ზემელზე" გაზრდილმა კაცმა, უსაყვარულესმა პიროვნებამ და მართლაც დიდმა ფეხბურთელმა ავთანდილ ქუთასელმა (ბაიდაში ამჟამად მამაზეციერმა).

ჩემი თხოვნით, მეორე თუ მესამე დღეს ავთო შემოუძღვა მიშას ჩემს სახელოსნოში და მითხრა: „ბიძია თომა-ჭიხიდან დაიხსენი და მოგიყვანეო." ჩვენ ვიცინოდით, მიშა კი დაბნეული ათვალიერებდა სახელოსნოს. ავთომ ნელ-ნელა შეამჩნია სახელოსნოში მისი მოყვანის მიზეზი. „ფეხბურთის კარიერის ჩემი მზე კარგა ხანია ჩასულნენ" — უარის ნიშნად განაცხადა მიშამ, მაგრამ მე ხომ სწორედ ეს მაძლევდა ხელს — მეტი დრო ექნებოდა სესანებზე სასიარულოდ. მახსოვს, ბასას ლამის გასახდელში დაეხვედი, სახელოსნოში რომ მომეყვანა.

ბოლოს დაეთანხმეთ და დანიშნული დღიდან დაეიწყეთ მუშაობა. პირველ ხანებში არაბუნებრივად შემოჰყიდი და დაძაბული იყო. მაგრამ მე შეკითხვებზე ვაჭარიდი მეგობრებისა თუ სპორტული ცხოვრების შესახებ. შევატყვე, როგორ ნელ-ნელა იხსნებოდა. თხრობის დროს ხელებსაც აშველებდნენ, ბოლოს და ბოლოს, ისე გამიშინაურდა, რომ დღეც ურთიერთობა არ დაგვკარგვია.

პორტრეტი გამოიფინა თბილისში, მოსკოვში და საქართველოს სხვა ქალაქებში გამართულ სამხატვრო გამოფენებზე.

ვალებად მეგულება კაცი, რომელმაც პატარაობიდან ცხოვრების ბოლომდე ფეხბურთის ისე შეჩვეროს თავი, როგორც მიხეილ პირაპეტა. თხემიდან ტერფამდე თბილისელმა კაცმა, ჭარ სუღ პატარამ, ომამდე დაიწყ. თამაში მაშინდელ პატარ-პატარა ფეხბურთიან გუნდებში, რომლებიც ქალაქში პოპულარულები იყვნენ.

მიშას არ შეიძლება არ დაუმადლო, რომ ჩვენი „ქართული ინტრიგებით" თბილისის „დინამოდან" „გამოგდებულ" ანდრო ჭირდინის ამოუდგა მხარში და ბატონ ანდროს მიერ დაარსებულ თბილისის „სპარტაკის" ის ახალგაზრდული გუნდში ითამაშა, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია და რომელიც ჭალაშვილთან. ბატონმა ანდრომ კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მისი ბადალი მწვრთნელი საქართველოს არ ჰყავდა.

შემდეგ, კვლა ჩვენი „დინამო", რომლის წარმატებებში არანაკლები წვლილი მიშასაც მიუძღვის. ამ გუნდის მოსკოვში თამაშის დროს ხელით პირაპეტ თვალ, დაადგა ახლად ჩამოყალიბებულმა „BBC"-ის გუნდის ხელმძღვანელობამ — ძმებმა ჭიკვლავებმა და ამ გუნდის სულისჩამდგმელმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა უანილი ტატიანმა. მიშამ შესთავაზეს ამ გუნდში თამაში.

მიშა გადავიდა „BBC"-ის გუნდში და მოსკოვის, ეს ნახევრად ჭართული და ლამის საბჭოთა კავშირის ნაკრებად ქცეული გუნდი, დიდ წარმატებებს აღწევდა. ბოლოს, ყველასთვის გასაგები მოვლენის გამო, ეს გუნდი დაიშალა და მიშა აღმოჩნდა მოსკოვის „სპარტაკში", სადაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ჩემპიონის ოჯრას და ევროკუპის მფლობელი არ ვიყავით, არაერთხელ ბრწყინვალედ ითამაშა ბაიდაშოროვის თამაში ინგლისში, სადაც დაამარცხეს (2-1) მსოფლიოში საბედგამოვლინო „არსენალი". სწორედ ამ თამაშის შემდეგ მიხეილ პირაპეს ინგლისელებმა „შავი კატა" შეარქვეს.

საბოლოოდ, მიშა დაბრუნდა თბილისში. სადაც 35-ე საფუძვლიანო სკოლაში მცაკრების აღზრდას მიჰყო ხელი.

მიხეილ პირაპეი, როგორც ვეტერანი სპორტსმენი, მტკივნეულად განიცდიდა ქართული ფეხბურთისა და საერთოდ, ქართული სპორტის ყველა პრობლემებს — გამარჯვებებსა თუ დამარცხებებს.

დღეს, სანერვეულო სპორტული ბიოგრაფიით დატვირთული, 85 წლის მიხეილ პირაპეი, თავის ოთხ შვილიშვილად ერთად დაბიჭებს მის საფარელ თბილისის ეზოებში.

„იარონ!"

თემო ჯყონია.

ფოტოები ირობერტ ბაგოიანისა

თენგიზ ალიბეგაშვილი

77 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი და ნიჭიერი სპორტის დვაწლმოსილი მუშაკი, ხალხოველის დამსახურებული მწვრთნელი ნიჭიერებაში თენგიზ ალიბეგაშვილი. 1952 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო მასწავლებლად მცხეთის საშუალო სკოლაში. 1954 წელს კიევში გაიგზავნა საბაიდარო ნიჭიერებისაბა და კანონში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რის შემდეგ მასწავლებლობის პარალელურად, მწვრთნელად დაიწყო მუშაობა ნიჭიერებისა და სპორტსზოგადება „გაზთიაში". სპორტსკოლაში ამეცადინებდა ჯგუფებს. მის აღზრდილთა შორის არიან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების ჩემპიონები და პრიზიორები, სსრ კავშირის პრიზიორები უფროსებში. იყო „გაზთიაელი" და საქართველოს ნიჭიერებისა ნაკრების მწვრთნელი.

თ. ალბეგაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის მცხეთაში „გაზთიაელის" სანიჭიერო ბაზის შენებლობაში, რომელმაც დიდქმედი თავად იყო სიცოცხლის ბოლომდე.

თ. ალბეგაშვილის, როგორც ჩვენეული სპეციალისტის, სპორტის მუშაკის და პიროვნების ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება იმათი მეხსიერებიდან, ვინც მას ახლოს იცნობდა.

მცხეთის რაიონის სპორტის სამსახური, მცხეთის ნიჭიერებისა სასპორტო სკოლა.

XXX

დაკრძალვა. 27 მაისს, მცხეთაში.

სპორტი – ყველასათვის

ერთობლივად მეტის გაკეთება შეიძლება

დევიზს „სპორტი — ყველასათვის" პრაქტიკული რეალიზება ერთობლივად, ძალებისა და შესაძლებლობების გაერთიანების დასახულ მიზნად სპორტის მოშუაობა და სპორტსმენთა პროფკავშირმა და ეროვნულმა ფედერაციამ „სპორტი — ყველასათვის", რასაც მხარს უჭერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

23 ორგანიზაციის წარმომადგენლთა მონაწილეობით ჩატარდა სპორტის სფეროში დასაქმებულ ადამიანთა სპარტაკიადა, რომელიც რიგით მეექვსე იყო. ფაქტობრივად, ამ მასობრივმა სპორტულმა ღონისძიებამ და XXI საუკუნემ ათელი ერთდროულად დაიწყო. წლიდან წლამდე იზრდება, როგორც სპარტაკიადის პროგრამა, ისე მონაწილეთა რაოდენობა. წელსულს, როგორც ზემოთ აღინიშნა, 23 შრომითი კოლექტივი ჩაება სპარტაკიადაში, მონაწილეთა რიცხვმა კი 200-ს გადააჭარბა. **ტყვიის სროლაში** ჩატარება არავის დაუთმო სროლის ფედერაციამ, მეორე იყო სპორტის აკადემია, მესამე — თბილისის მერიის სპორტის სამსახურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ნაძალადევი"; **ცურვაში** ადგილები ასე განაწილდა: 1. წყალთა სახეობების სპეციალიზებული ცენტრი, 2. „ნაძალადევი", 3. თბილისის ოლიმპიური მზადების ცენტრი „დილომი"; **სიმბიმეების აწევა:** 1. ძალოსნობის ფედერაცია (ასპარეზობაში ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძეც** მონაწილეობდა), 2. თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ოლიმპიური მზადების ცენტრი „ავლაბარი", 3. წყალთა სახეობების სპეციალიზებული ცენტრი; **მაგიდის ჩოგბურთი:** 1. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ისანი", 2. სპორტის აკადემია, 3. „ნაძალადევი"; **ჭადრაკი:** 1. ჭადრაკის ფედერაცია, 2. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი „საგორი", 3. „ნაძალადევი"; **ბაგირი:** 1. წყალთა სახეობების ცენტრი, 2. ფარიკაობის ფედერაცია, 3. „ნაძალადევი"; **მძლეოსნობა:** 1. სპორტის აკადემია, 2. „ნაძალადევი", 3. მძლეოსნობის ფედერაცია; **საერთო გუნდური ჩათვლა:** 1. „ნაძალადევი" (დირ. **დემურ ჭაფოძე**), 2. სპორტის აკადემია (რუტ მოვ შვილი. **დურმიშხან ჩიტაშვილი**), 3. წყალთა სახეობების ცენტრი (დირ. გიგი ცქიტიშვილი).

ბურამ შარულავა, სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

სამშაბათს, 30 მაისს, 12 საათზე, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საარტო დარბაზში გაიმართება სპარტაკიადაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოება.

საქართველოს სპორტის ვიქტორინა

1) **რომელი წლიდან მიეცა მსაჯს მოედნიდან მოთამაშის გაძევების უფლება?**

ა — 1871 წლიდან
ბ — 1873 წლიდან
გ — 1878 წლიდან

2) **რომელი წლიდან ხდებან მატჩებს სასტვენის გამოყენებით?**

ა — 1872 წლიდან
ბ — 1875 წლიდან
გ — 1878 წლიდან

3) **რომელი წლიდანაა არბიტრის ბადეწყვეტილება საბოლოო?**

ა — 1892 წლიდან
ბ — 1898 წლიდან
გ — 1904 წლიდან

4) **რომელ წელს დაფუძნდა ტფილისის ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრე „ჯიმტა"?**

ა — 1902 წელს
ბ — 1905 წელს
გ — 1907 წელს

5) **რომელ წელს გამოიცა „ჯიმტას" მიერ თბილისში ფეხბურთის თამაშის წესები?**

ა — 1904 წელს
ბ — 1905 წელს
გ — 1906 წელს

წინა ვიქტორინის პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

იყო ასეთი შემთხვევა

ბედნიერი ბუგა

80-იანი წლების ბოლოს ასეთი შემთხვევა ყოფილა: კახპაროფი კარპოვს პაიქრებოდა ჩემპიონის წოდებისთვის. კახპაროვს ბუნდოვან ვიღაც უცნობი მამაკაცი მისულა ბუგა კიკაბიძესთან და უთხოვია, იქნება მატჩს დაესწროთ, გარიგ რომ მოიგოსო. იმ დღეს კახპაროვმა მაროლაც დაამარცხა მეტოქე და მსაჯობას „ფეხბედნიერი ადამიანის" სახელი შეერქვა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ნიჭიერებისა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით ეუწყებიან რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი და ნიჭიერებისა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიჭიერებისაში

თენგიზ ალიბეგაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ირლანდიას ვაჯობებთ

ევროპის ჯგუფთა პირველობის შესარჩევი ეტაპის, სლოვაკეთში მიმდინარე ოთხთა ტურნირის ბოლო დღეს, **პაინც ტოპმოილერის** შეგირდებმა კარი გაიჯახუნეს, ირლანდიელ თანატოლებს 3-2 მოუგეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ. ქართველებმა უკანასკნელი მატჩი შედარებით უკეთ ჩაატარეს, თავიდანვე დაწინაურდნენ და კარგად დაწყებული საქმე გამარჯვებით დაასრულეს. ნაკრების თამაკოვნის განცხადებით, გუნდი თანდათან აუმჯობესებდა თამაშის ხარისხს, რაც ირლანდიელებთან მატჩში ნათლად გამოჩნდა, თუმცა, სამუშაო და გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია. სლოვაკეთის შესარჩევი ეტაპი კი თურქმა ჯაბუკებმა მოიგეს. გადამწყვეტ მატჩში, მასპინძლები 2-1 დაამარცხეს, პირველი ადგილი დაიკავეს და ახლა ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ.

19 წლამდე ჯაბუკთა ნაკრების შესარჩევი ეტაპის II ჯგუფის ოთხთა ტურნირის სტატისტიკა (სლოვაკეთი 19-23 მაისი)

23 მაისი. სენეცი. სტადიონი „ნაფოონალე“. 300 მაყურებელი. III ტური.

საქართველო – ირლანდია 3-2

საქართველო: რ. თევდორაძე, გ. თომაშვილი, ა. კობახიძე, მ. ბეგალაკა, ბ. გოცირიძე, რ. წინამძღვრიშვილი, ზ. გვაძაბია, გ. კახელიშვილი (ა. ბენაშვილი 35), ლ. ხოხნაშვილი (დ. მჭედლიშვილი 56), ზ. მაილაშვილი, ვ. კვარაცხელია (ი. ჩრდილაშვილი 62).

ირლანდია: რენდოლფი, შეიდენი, ნოლანი, ოდია, მორისი, ჯ. კელი, რილი, კლარკი (სტოუნი 62), ობრაიენი, სპილეინი, რუნი.

გოლები: 1-0 წინამძღვრიშვილი (9), 2-0 თომაშვილი (14), 2-1 ჯ. კელი (28), 3-1 გოცირიძე (76), 3-2 რუნი (90).

გაფრთხილება: რენდოლფი (40), ოდია (54), ბენაშვილი (85), რუნი (87), მორისი (88).

მსაჯი: ი. ეგოროვი (რუსეთი).

საბოლოო ცხრილი						
თურქეთი	3	3	0	0	11-2	9
სლოვაკეთი	3	2	0	1	8-5	6
საქართველო	3	1	0	2	4-12	3
ირლანდია	3	0	0	3	5-9	0

თურქეთი – სლოვაკეთი 2-1

სფფ-ის მსაჯი და დაკვირვებელთა განყოფილების განცხადება

23 მაისს სფფ-ში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ სფფ-ის რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელები, მსაჯთა დამკვირვებლები და მსაჯები. სულ 65 კაცი. დამწრეებმა მოისმინეს სფმაკ-ის (საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია) ვიცე-პრეზიდენტის **ო. გუნთარძის** და სფდკ-ის დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელის **ა. კაჭახიძის** ინფორმაციები 2005-06 წლების XVII ეროვნული ჩემპიონატების შედეგების შესახებ. ასოციაციის გადაწყვეტილებით, დაფიქსირდა სატყვეოსო არბიტრთა და ასისტენტთა ხუთეულები (ანბანის მიხედვით)

არბიტრები – გ. ვადაკაური, ლ. ქვარაცხელია, ლ. სილაბავა, ლ. ფანტაშვილი, დ. ხარტინაშვილი;
ასისტენტები – მ. ქელაშვილი, ზ. მენთაშვილი, ლ. მიქელაძე, მ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარძიე.

ვინაიდან სფმაკ-ს პრეზიდენტი **ა. მილჩენკო** ამჟამად მეშაობს ევროპის საფეხბურთო კლუბში, წუხდების თანამშრომ მისი მოადგილის შესრულება დაეკისრა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს **ო. გუნთარძეს.** საკითხი შეთანხმებული იქნა სხდომის მონაწილეებთან, რასაც ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. წესდების თანახმად, ასოციაციის მორიგი კონფერენცია გაიმართება 2006 წლის დეკემბერში.

სხდომის მონაწილეებმა მიმართეს კონფედერაციას, რათა მომავალში ზემოაღნიშნულ ასოციაციას (სფმა) ეწოდოს მსაჯთა და დამკვირვებელთა ასოციაცია.

სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება.

მწვრთნელთა სემინარი განახლდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განათლების წლეულს ზამთარში დაწყებული მეფიქმოციეი კურსები, ისევ განახლდება. სფფ-ს ტექნიკური დირექტორი **გაიოზ** დარსაძე ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“, 27 მაისიდან თავს მოუყრის ოცდაათამდე მწვრთნელს და უეფას ინსპექტორი **ფრანკო ფერარასთან** ერთად „ა“ კატეგორიის კურსებს ჩაუტარებს. ტრაილერი სტუმარი თბილისში დღეს ჩამოვა და დედაქალაქში 3 ივნისამდე დარჩება.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

ჯგუფი D

ირანი

